



MES 2 22 0000021505



14/01/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2021 წლის 27 დეკემბერს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89541441013?pwd=bFN0WCtXQ2YyYnlJSWFaa25abnBJZz09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თამაზ ბახტაძე** - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის – „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**თამარ ჯაფარიძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ქეთი ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

#### **დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“:**

მამია ჯანჯალია - დირექტორი;

თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე;

ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

თამარ სიბოშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი;

მიხეილ ჭელიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი;

სოფიო ბარათაშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი.

#### **ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი:**

მურმან გამისონია - ხელმძღვანელი;

მირანდა ბაღდადიშვილი - ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის პედაგოგი;

შალვა მელანაშვილი - სამეჯლისო ცეკვის პედაგოგი;

ზვიად არძენაძე - იურისტი.

#### **პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

მაყვალა დარსანია;

ალექსანდრე კეკელიძე;

უჩა დვალიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ – „სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max“ /01220/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

2. სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ – „სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java)“ /01219/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

3. ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტისთვის – „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი“ /01237/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი.

1.სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ – „სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max“ /01220/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

2. სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ – „სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java)“ /01219/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ცენტრის წარმომადგენელს მაყვალა დარსანიას, რომელმაც აღნიშნა, რომ ორივე განაცხადისთვის მე-2 და მე-3 სტანდარტი არის იდენტური, განსხვავება მხოლოდ პირველ სტანდარტთან მიმართებაშია და შესაბამისად ექსპერტი წარმოადგენდა ერთიან პრეზენტაციას, დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხი წარმოდგენილი იყო ერთდროულად.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ. ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 18 ნოემბრის №1245120 და №1245119 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამების „სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max“ და „სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java)“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები, ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 30 ნოემბერს დაწესებულებაში. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

შემდეგ ექსპერტმა საბჭოს გააცნო ინფორმაცია პროგრამების შესახებ:

1. პროგრამის დასახელება - სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max, პროგრამის სახე - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 16 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 42, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №3.

პროგრამიდან ნათლად ჩანს, თუ რა კონკრეტულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შეიძენს მსმენელი, როგორ გააცნობიერებს მიღებულ ცოდნას და როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმიანობას რეალურ სამუშაო გარემოში, დაკისრებული სამუშაოების შესრულებას კურსდამთავრებული შეძლებს სრულიად დამოუკიდებლად.

თემატიკები ერთმანეთის თანმიმდევრულია და მიიღწევა შემდეგი შედეგები:

- სამგანზომილებიან რედაქტორში ინტერფეისის ელემენტების მართვა;

- სამგანზომილებიანი ობიექტების მოდელირება და სამგანზომილებიან პრინტერზე საკუთარი შექმნილი მოდელის ბეჭდვა;
- სამგანზომილებიანი ობიექტების ტექსტურირება, სტანდარტულ მატერიალებთან და განათებასთან მუშაობა;
- ვიზუალიზაცია Corona რენდერის მეშვეობით;
- რენდერის ფაილების დამუშავება (Post production) და პორტფოლიოს შექმნა. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

დასტურდება ინტერვიუს შედეგებითა და წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამით.

2. პროგრამის დასახელება - სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java), პროგრამის სახე - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 22 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 42, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N3.

თემატიკები ერთმანეთის თანმიმდევრულია და მიიღწევა შემდეგი შედეგები:

- კლასებსა და ობიექტებთან მუშაობას;
- მარტივი პროგრამული კოდის დაწერა;
- ამოცანის ამოხსნის შესაბამისი ალგორითმების სხვადასხვა სახით წარმოდგენა;
- ალგორითმის ეფექტურობის შეფასება;
- რეკურსიული და არარეკურსიული ალგორითმების შემუშავება;
- კოდის აგება და შენახვა და მზა პროდუქტი მიღება;
- სხვისი მზა პროდუქტის გამოყენება;
- რთული პროგრამული კოდის დაწერა;
- სრული ე.წ. უკანა მხრის კოდის აგება;
- ობიექტზე ორიენტირებული მიდგომის პარადიგმების გაანალიზება;
- ამოცანის პროექტირება ობიექტზე ორიენტირებული გზით.

პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. დასტურდება ინტერვიუს შედეგებითა და წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამით.

არცერთ პროგრამაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა, თუმცა „სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java)“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში 1.2, 1.3, 1.7 და 2.1 ქვესტანდარტების კუთხით გაიცა რეკომენდაციები:

**1.2 ქვესტანდარტი** პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება “სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java)” სრულად არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კვირაში ჯამში 36 საათი დათმობილია ალგორითმებისთვის, რაც თავისთავად არ მოიცავს Java პროგრამირების ენას, სასურველია პროგრამის დასახელებაში შევიდეს კორექტირება, პროგრამის სახელწოდება მოყვანილ იქნას შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან;

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ მესხიშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ კოლეჯს შესაძლოა არა პროგრამის სახელის, არამედ მისი შინაარსის ცვლილება სჭირდებოდეს არსებულ სახელთან შესაბამისობაში მოსასვლელად. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კვირაში ჯამში 36 საათი დათმობილია ალგორითმებისთვის, რაც თავისთავად არ მოიცავს Java პროგრამირების ენას. ზოგადად ალგორითმიზაცია მნიშვნელოვანია, უბრალოდ აქ კიდევ შემოტანილია თეორიული საკითხები. ალგორითმიზაციაზე დიდი დრო არის შედარებით დათმობილი და სასურველი იქნებოდა, რომ თავად სიტყვაც გამოჩნდეს და ჩაემატოს სახელს, რათა პროგრამის სახელწოდება მოვიდეს პროგრამის შინაარსთან შესაბამისობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვა დასვა მარიკა

ზაქარეიშვილმაც. ის დაინტერესდა, არის თუ არა ალგორითმიზაცია აუცილებელი და არსებითი Java-ს დასაუფლებლად, ვინაიდან თუკი Java-ს შესწავლა ალგორითმიზაციის გარეშე შესაძლებელი, მაშინ კოლეჯს შეეძლება, რომ ეს ნაწილის ამოიღოს პროგრამიდან. აღნიშნულის საპასუხოდ ექსპერტმა განმარტა, რომ დაპროგრამების ენაში მნიშვნელოვანი საკითხია ალგორითმიზაცია, უბრალოდ მოცემულ შემთხვევაში კოლეჯს ეს ინფორმაცია დიდი მოცულობით აქვს შეტანილი პროგრამაში, რაც თავისთავად Java-ს არ მოიცავს. ექსპერტმა ისაუბრა იმაზეც, რომ ალგორითმიზაციის სწავლება ძალიან კარგია, რაც შეეხება სწავლების მოცულობას, მასთან დაკავშირებული საკითხები უფრო ზუსტად არის განხილული შემდეგ ქვესტანდარტებში.

**1.3 ქვესტანდარტი** “სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java)” პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, და ითვალისწინებს ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიის მიმართულებით, ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების Java ენის და ალგორითმების თეორიის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდას, რომელსაც შეუძლია Java ენაზე პროგრამების წერა. მიზანი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ სრულ შესაბამისობაში არაა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, სასურველია მე-18 კვირაში განხილულ საკითხებამდე „JDBC“, სწავლის შედეგი „4. სრული ე.წ. უკანა მხრის კოდის აგება“ მსმენელებმა შეისწავლონ „მონაცემთა ბაზების აგება“.

**1.7 ქვესტანდარტი** პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა შეესაბამება მსმენელის კვირეულ სასწავლო დატვირთვას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა მეორე, მესამე, და მეოთხე კვირა ეთმობა ერთსა და იმავე თეორიულ საკითხებს (36 საათი), ეს საათების რაოდენობა ამ თემატიკისთვის არ არის საჭირო. სასურველია აღნიშნული დროის გადანაწილება უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე მოხდეს, კერძოდ: მონაცემთა ბაზების აგების საფუძვლები, და ვერსიების კონტროლის სისტემები. პროგრამის აღწერის ნაწილში გვხვდება ტექნიკური ხარვეზი, მითითებულია სწავლის ხანგრძლივობა 22 კვირა, რაც სასურველია გასწორდეს.

**2.1 ქვესტანდარტი** სასურველია პროგრამის მდგრადობისთვის დაემატოს მინიმუმ ერთი განმახორციელებელი პირი.

შემდეგ ქსპერტმა ისაუბრა პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო რესურსის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ელექტრონულ სისტემაში ატვირთული აქვს მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, თუმცა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, დადგინდა რომ, დაწესებულებაში არის ქართულენოვანი სახელმძღვანელო “ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების საფუძვლები Java / I და II ნაწილი“, რომელიც ხელმისაწვდომია მსმენელებისთვის. აქედან გამომდინარე სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის, და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

ფოტომასალის საშუალებით წარმოდგენილი იყო კოლეჯის მატერიალური რესურსები - სასწავლო გარემო და სასწავლო გარემოში არსებული კომპიუტერების მონაცემები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით პროგრამის „სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max“-ის შემთხვევაში, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე მოითხოვს ძლიერი მონაცემების მქონე ძვირადღირებულ კომპიუტერებს. აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერების მონაცემები, პარამეტრები სრულად შეესაბამება და აღემატება კიდევ მოთხოვნილ სტანდარტებს, კერძოდ მინიმალური მოთხოვნა ოპერატიული მეხსიერების არის 4 გბ, სასურველი 8 გბ, ხოლო პროგრამისთვის გამოყოფილი კომპიუტერებს აქვთ 16 გბ ოპერატიული მეხსიერება, ასევე კომპიუტერებში განთავსებულია ძალიან კარგი და ძვირად ღირებული ვიდეოკარტები, რაც ქმნის იდეალურ გარემოს 3Ds Max პროგრამასთან სამუშაოდ. პროგრამა, „სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java)“, არ საჭიროებს ასეთ მძლავრ მონაცემებს. აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერების მონაცემები, პარამეტრები სრულად შეესაბამება და აღემატება კიდევ მოთხოვნილ

სტანდარტებს, პროგრამისთვის გამოყოფილ კომპიუტერებს აქვთ 16 გბ ოპერატიული მეხსიერება, ასევე კომპიუტერებში განთავსებულია ძალიან კარგი და ძვირად ღირებული ვიდეობარათები, რაც ქმნის იდეალურ გარემოს Java ენაზე პროგრამირებისთვის.

ექსპერტის შეფასებით, ორივე პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ პოზიციის დასაფიქსირებლად სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით შედგა გასაუბრება მოწვეულ პედაგოგთან შეხედულებათა შესაჯერებლად. გათვალისწინებულია ისიც, რომ მსმენელი უნდა გავიდეს დასკვნით გამოცდაზე და მიიღოს კვალიფიკაცია, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ამასთან პროგრამაში გაწერილი რიგი საკითხების გადაადგილება არ ცვლის საერთო სურათს. ითქვა, რომ რეკომენდაცია აუცილებლად აისახება პროგრამაში. განმახორციელებელი პირის დამატებასთან დაკავშირებით ითქვა, რომ კოლეჯს ყავს პირები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ სასწავლო პროცესში ჩართვას, მაგრამ ამის საჭიროებას თავად დაწესებულება ვერ ხედავს. საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ დაზუსტდა, რომ დოკუმენტში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა გარკვეული სახით შეთანხმება დაწესებულების წარმომადგენლებსა და დარგის ექსპერტს შორის. რეკომენდაციის შესაბამისად, საჭიროა მხოლოდ შიდა სტრუქტურული გადაადგილებების განხორციელება მოდულის პირობებში და არა პროგრამის ცვლილება. თეორიულ სწავლებაზე, მონაცემთა ბაზების აგების საფუძვლებსა და ვერსიების კონტროლის სისტემებზე საათობრივი გადანაწილების შესახებ კითხვა დაისვა მარიკა ზაქარეიშვილის მიერ. ის დაინტერესდა, შედგა თუ არა თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლისგან მიიღო დადებითი პასუხი.

ცენტრის წარმომადგენლის მიერ დაზუსტდა, რომ მხარეებს შორის არსებული კონსენსუსის გათვალისწინებით, შესაძლებელია საბჭოს გადაწყვეტილებაშივე დაფიქსირდეს პროგრამის სახელწოდების განახლებული სახე. რაც შეეხება საათობრივ გადანაწილებას, აღინიშნა, რომ შესაბამისი ცვლილებების გატარების შესახებ დაწესებულებამ მოგვიანებით უნდა აცნობოს ცენტრს.

საბჭოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს კოლეჯს პროგრამის „სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max“ უხარვეზოდ წარმოდგენისათვის. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ვინაიდან პროგრამის წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება, ხომ არ არის შესაძლებელი, მოხდეს სკოლებთან თანამშრომლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დარგში ნაკლებობაა იმ ადამიანების, რომლებმაც უნდა განავითარონ და თავიანთი გამოცდილება მიაწოდონ მოსწავლეებს. გარდა ამისა, პროგრამები საჭიროებს ძლიერი და ძვირადღირებული კომპიუტერებით აღჭურვას, რაც სკოლებში არ არის, თუმცა შესაძლებელია სკოლის მოსწავლეების მიღება კოლეჯის ბაზაზე. კოლეჯს აქვს საკვირაო სკოლა, სადაც სწავლა შეუძლიათ მესამე კლასის ზემოთ მოსწავლეებს. ასევე, მოკლევადიანი მომზადების პროგრამა არსებული მოთხოვნის შესაბამისად დაიმატა კოლეჯმა, მომავალში შესაძლებელია ინტეგრირებული პროგრამის დამატებაც. „ვებტექნოლოგიების“ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უკვე ხორციელდება კოლეჯში, რომლის ფარგლებშიც ისწავლება ფოტოშოპი და ილუსტრატორი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ – „სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max“ /01220/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

### **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max /01220/ (დანართი 1).

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო პროფესიული მომზადების პროგრამის „სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java)“ სახელწოდების საკითხს და აღნიშნა, რომ ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინებით დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება შეეცვალა პროგრამის სახელწოდება და ჩამოყალიბებულიყო ამ სახით - ალგორითმები, სტრუქტურული, ობიექტზე ორიენტირებული და ენტერპრაიზ დაპროგრამება Java-ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ - „ალგორითმები, სტრუქტურული, ობიექტზე ორიენტირებული და ენტერპრაიზ დაპროგრამება Java-ზე“ /01219/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

### **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ალგორითმები, სტრუქტურული, ობიექტზე ორიენტირებული და ენტერპრაიზ დაპროგრამება Java-ზე /01219/ (დანართი 2).

### **3. ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტისთვის - „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი“ /01237/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტის და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხი წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ. ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 8 დეკემბრის №1334040 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაცვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა უჩა დვალიშვილმა შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2021 წლის 14 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტში. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

მან ასევე საბჭოს გააცნო ინფორმაცია პროგრამის შესახებ: პროგრამის დასახელება - ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი, პროგრამის სახე - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 34, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 120, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26.

მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა შემდეგი **რეკომენდაციები**:

**1.10 ქვესტანდარტი** - რეკომენდებულია, იურიდიულმა პირმა ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის დებულებაში გაწეროს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

**2.1 ქვესტანდარტი** - რეკომენდებულია განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში „საგანმანათლებლო პროგრამის“ ნაცვლად ჩაიწეროს „პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა“.

**2.2 ქვესტანდარტი** - რეკომენდებულია, რომ ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებული იყოს მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით, 3 წლით.

**3.4 ქვესტანდარტი** - რეკომენდებულია, გამოკითხვის ფორმებს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ფორმები.

შემდეგ ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა სტანდარტების შეფასების შესახებ და თითოეული განიხილა დეტალურად:

**1.1. ქვესტანდარტი** რომ ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტმა წარმოადგინა ონლაინ გამოკითხვის კვლევის შედეგები, რომელიც მან ჩაატარა პროგრამის საჭიროების დასაბუთებისთვის, ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 202 მოქმედმა დარგის წარმომადგენელმა. გამოკითხვა განხორციელდა ასაკის, სქესის, განათლების, დასაქმების, ქორეოგრაფიული განათლების, ასევე სფეროში დასაქმებული პირების მიხედვით. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ არის საჭიროება პროფესიული ქორეოგრაფიული უნარების განვითარების, მეთოდური ცოდნის საჭიროების აუცილებლობის. პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროების, დასაქმებისათვის საჭირო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის, პროფესიული უნარების განვითარების, საკუთარი საქმიანობის სწორად დაგეგმვისა და წარმართვის, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის. გამოკითხულთა უმეტესობა გამოთქვამს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის სურვილს, რომელთა ნაწილი დასაქმებულია ქორეოგრაფიული მიმართულებით, აქედან უმრავლესობა მუშაობს დამდგმელ ქორეოგრაფად, რეპეტიტორად და სტუდიის ხელმძღვანელად.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობის სურვილია მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების კურსების არსებობა ქართული ცეკვის მეთოდისა და სარეპეტიტორო უნარების განვითარებისათვის. როგორც გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, გამოკითხულთა უმრავლესობა პროფესიაში დასაქმების მიუხედავად, თვლის, რომ საჭიროებს ქორეოგრაფიული მეთოდური უნარების განვითარებას. ამისათვის ძალიან მოსახერხებელია მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის აუცილებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

აღნიშნული დასტურდება იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საჭიროების დასაბუთების კვლევის შედეგებით.



**1.2 ქვესტანდარტი** იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი“, ხოლო პროგრამის სწავლების შედეგებია:

1. ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიისა და თანამედროვე ტენდენციების ცოდნა და გაცნობიერება;
2. ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება;
3. სხვადასხვა კუთხის, ფორმისა და სტილის ქართულ ხალხური ცეკვის შესრულება და სწავლება;
4. სარეპეტიტორო უნარების დემონსტრირება: სარეპეტიციო პროცესის დაგეგმვა და ჩატარება, ქორეოგრაფიული ნიმუშების აღდგენა და ტრანსფერი.

პროგრამის მიზანში ვკითხულობთ: „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორის პროფესიული, საშემსრულებლო შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება და გამოყენება საქმიანობაში“. პროგრამის აღწერაში მითითებულია პროგრამის მოცულობა, მსმენელის კვირეული დატვირთვა, შეფასების მეთოდები, ასევე აღნიშნულია, რომ პროგრამა შედგება სამი ნაწილისგან - (ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია და თანამედროვე ტენდენციები, სხვადასხვა კუთხის, ფორმისა და სტილის ქართული ხალხური ცეკვების შესრულება და სწავლება, სარეპეტიტორო უნარების დემონსტრირება).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან.

**1.3 ქვესტანდარტი** პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია: „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორის პროფესიული, საშემსრულებლო შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება და გამოყენება საქმიანობაში“.

შესაბამისად, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

**1.4 ქვესტანდარტი** პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება, სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 6 თვე. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ასევე განსაზღვრულია შემოქმედებითი ტური. პროგრამაზე შემოქმედებითი ტურის გავლის გარეშე დაიშვებიან ქორეოგრაფიული ანსამბლების სტაჟიორები, მოქმედი მსახიობ-მოცეკვავეები, სკოლებისა და სტუდიების ქორეოგრაფები მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში;

**1.5 ქვესტანდარტი** პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელს შეუძლია მრავალმხრივი, სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და მისი შესაძლებლობების გააზრება, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, მათ შორის მონაცემების იდენტიფიცირება/ანალიზი/შეფასება.

**1.6 ქვესტანდარტი** წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს სწავლის შემდეგი შედეგების მიღწევას:

1. ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიისა და თანამედროვე ტენდენციების ცოდნა და გაცნობიერება;
2. ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება;

3. სხვადასხვა კუთხის, ფორმისა და სტილის ქართულ ხალხური ცეკვის შესრულება და სწავლება;

4. სარეპეტიტორო უნარების დემონსტრირება: სარეპეტიციო პროცესის დაგეგმვა და ჩატარება, ქორეოგრაფიული ნიმუშების აღდგენა და ტრანსფერი.

აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

**1.7 ქვესტანდარტი** პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 34 (ოცდაათოთხმეტი) კვირას, კვირეული სასწავლო დატვირთვაა 25 სთ, სულ - 850 სთ.

პირველი სწავლის შედეგის დადასტურება განხორციელდება 22-ე კვირას, მეორე სწავლის შედეგის დადასტურება - მე-8 კვირას; მესამე და მეოთხე სწავლის შედეგების დადასტურება ყოველკვირეულად; 34-ე კვირას ხდება საბოლოო შედეგის დადასტურება.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

**1.8 ქვესტანდარტი** სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები:

- ლექცია
- დემონსტრირება
- პრაქტიკული სავარჯიშო
- დისკუსია
- ინსტრუქტაჟი

სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

**1.9 ქვესტანდარტი** პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას ყოველ კვირას გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი. აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირი ახორციელებს არაფორმალურ სწავლებას, არის მოკლევადიანი კურსები, სადაც პირები სწავლობენ, როგორც ქართულ ხალხურ ცეკვებს, ასევე თანამედროვე ცეკვებსაც. ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება, სწორედ ვიზიტის დროს მოკლევადიანი პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს არაფორმალურად, ექსპერტი დაესწრო რამდენიმე ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიციას, შესაბამისად დადასტურდა, რომ პრაქტიკული საქმიანობისთვის განკუთვნილი გარემო შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

**1.10 ქვესტანდარტი** პროფესიული გადამზადების პროგრამაში პროგრამის აღწერით ნაწილში გაწერილია, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასება, კერძოდ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით, განმავითარებელი შეფასება მიმდინარეობს ყოველკვირას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ყოველი სწავლის შედეგის დასრულების შემდეგ.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. იურიდიულ პირს აქვს შემუშავებული დოკუმენტი - ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის დებულება, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა პროცესები, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან, თუმცა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები არ არის გაწერილი. სასურველია, იურიდიულმა პირმა ამ დებულებაში გაწეროს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

**2.1 ქვესტანდარტი** პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 5 განმახორციელებელი პირი, ასევე 2 პირი (კონცერტმეისტერი). განმახორციელებელი პირები ჩართული იქნებიან პროგრამაში სხვადასხვა ეტაპზე და შეასწავლიან კონკრეტულ ქართულ ცეკვას, მაგ. ქართული, ოსური, აფხაზური, აჭარული, ყაზბეგური და სხვ. იურიდიულ პირს ატვირთული აქვს

ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა განმახორციელებლების პირადი საქმეები, კერძოდ პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომები, შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდებულია განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში „საგანმანათლებლო პროგრამის“ ნაცვლად ჩაიწეროს „პროფესიული გადამზადების პროგრამა“.

**2.2 ქვესტანდარტი** იურიდიულ პირს გააჩნია ქ.თბილისში, ც. დადიანის ქ. N26-ში სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი ფართი, სადაც არის 2 სასწავლო აუდიტორია (30-30 მსმენელზე), რომელიც განკუთვნილია თეორიული კომპონენტისთვის, სასწავლო გარემო აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით კომპიუტერთ, პროექტორით, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გამოყოფილია 2 საცეკვაო დარბაზი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ასევე სხვა დამხმარე ფართი, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული პერსონალისთვის და მსმენელების თავისუფალ დროს გადაადგილების მიზნებისთვის.

პროფესიული გადამზადების პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

რეკომენდირებულია, რომ ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებული იყოს პროგრამის განხორციელების ვადით 3 წლით.

**2.3 ქვესტანდარტი** სასწავლო მასალა წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის ბიბლიოთეკაში და ასევე ელექტრონულად. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იურიდიული პირი წლებია ახორციელებს არაფორმალურად მოკლევადიან პროგრამებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა სპეციალური პორტალი artschool book, ამ პორტალზე ატვირთულია ის სასწავლო ლიტერატურა, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს დაფიქსირდა ისეთი სასწავლო რესურსი/სახელმძღვანელოები, რომლებიც შესაძლებელია ქართული კულტურის საგანძურად ჩაითვალოს, კერძოდ, დავით ჯავრიშვილის „მთიულური ცეკვები“, 1953 წ; ლილი გვარამაძის „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“, 1957 წ; დ. ჯანელიძის „ქართული ხალხური საწყისები“, 1948 წ. და სხვ.

**2.4 ქვესტანდარტი** იურიდიული პირის დებულებით განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე სამეურნეო და უსაფრთხოების მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუტის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირის - მსმენელის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის და სხვა პირების, რომლებიც იმყოფებიან ინსტიტუტის ტერიტორიაზე, უსაფრთხოების დაცვას და წესრიგის უზრუნველყოფას.

იურიდიულ პირს შემუშავებული აქვს დაცვისა და უსაფრთხოების წესები, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის დირექტორის 2021 წლის 1 სექტემბრის N7 ბრძანებით, დოკუმენტში გაწერილია თუ როგორ ხდება შენობაში სასწავლო პროცესის უსაფრთხოების დაცვა.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

**3.1 ქვესტანდარტი** იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მისიას და როლს შესაბამის დარგის განვითარებაში.

დასტურდება იურიდიული პირის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის დებულებით.

**3.2 ქვესტანდარტი** იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

დასტურდება იურიდიული პირის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის დებულებით.

**3.3 ქვესტანდარტი** იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას. დასტურდება ორგანიზაციის ვებ-გვერდით [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge) და [www.artfolk.ge](http://www.artfolk.ge), ელექტრონული პლატფორმით \_ Schoolbook და დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით.

**3.4 ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე“ ციკლი.

იურიდიულ პირს შემუშავებული აქვს ონლაინ კითხვარები, კერძოდ:

1. მსმენელის კმაყოფილების კითხვარი;
2. პროგრამის შეფასების კითხვარი;
3. პედაგიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი

ამდენად, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.

დასტურდება დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და ონლაინ კითხვარებით.

რეკომენდებულია, გამოკითხვის ფორმებს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ფორმები.

3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გამოცდილების არარსებობის გამო ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.

ფოტომასალის საშუალებით საბჭოს წინაშე წარმოდგენილი იყო კულტურის ინსტიტუტის სასწავლო გარემო - შენობა, ბიბლიოთეკა, სასწავლო ლიტერატურა, აუდიტორიები თეორიული სწავლებისათვის და საცეკვაო დარბაზები.

პრეზენდაციის დასრულების შემდეგ ცენტრის წარმომადგენელმა სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს, ბატონ უჩა დვალიშვილს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებას ჰყავს მაღალი რანგის სპეციალისტები, პედაგოგები და კონცერტმანისტები. ასევე, ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტს აქვს მდიდარი ფოტო და ვიდეო არქივი. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ იშვიათია, როდესაც ქართული ცეკვის ანსამბლებს ჰყავთ მაღალი რანგის მქონე რეპეტიტორი, შესაბამისად, მსგავსი პროგრამების არსებობა მნიშვნელოვანია ქართულ ხელოვნებაში.

საბჭოს წევრებმა მაღლობა გადაუხადეს კულტურის ინსტიტუტს პროგრამის უხარვეზოდ წარდგენისათვის და აღნიშნეს, რომ სასურველია წახალისებული იყოს მსგავსი ტიპის პროგრამები მათი კულტურული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს პოზიციის დასაფიქსირებლად. კულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მაღლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებსა და პროგრამის მომზადებაში ჩართულ უშუალო მონაწილეებს. მან ისაუბრა პროგრამის მომზადების პროცესებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა და გადიოდა კონსულტაციებს ცენტრის წარმომადგენლებთან იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო მისი წარდგენა, ვინაიდან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საკითხი ინსტიტუტისთვის პირველ პრეცედენტს წარმოადგენდა. ინსტიტუტის ხელმძღვანელმა სიტყვა გადასცა მირანდა ბაღდადიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ თანამშრომლობის პროცესში იგრძნობოდა კეთილგანწყობა ექსპერტის მხრიდან. რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ახალი ფორმები. დაწესებულების იურისტმა დასძინა, რომ განაცხადის მომზადების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ცენტრის წარმომადგენლებთან მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია ონლაინ რეჟიმში ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე. ასევე, მან დასძინა, რომ იურიდიული პირი იზიარებს რეკომენდაციებს და გატარდება შესაბამისი ცვლილებები.

ხელშეკრულებაში „საგანმანათლებლო პროგრამის“ ნაცვლად ჩაიწერება „პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა“, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით თავიდანვე არსებობდა სურვილი მისი ცალკე დებულების სახით წარდგენის შესახებ, თუმცა ცალსახა მოთხოვნის არარსებობიდან გამომდინარე ის პროგრამაში მოექცა, რაც ასევე დაკორექტირდება. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტისთვის – „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ- რეპეტიტორი“ /01237/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტს (ს/კ: 406260255) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ- რეპეტიტორი /01237/ (**დანართი 3**).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 1549 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01220	სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max	მომზადება	მეოთხე	16	ქართული	42	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №3

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01219	ალგორითმები, სტრუქტურული, ობიექტზე ორიენტირებული და ენტერპრაიზ დაპროგრამება Java-ზე	მომზადება	მეხუთე	22	ქართული	42	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №3

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01237	ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი	გადამზადება	მეხუთე	34	ქართული	120	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26